ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი № 103

9 ოქტომბერი 2025 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2 15:00 სთ

გაერთიანებული სხვა კომისიებთან

მოწვეული სტუმარი:
მერიის ადმინისტრაციის უფროსი-ვალერი ჭიღლაძე
მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე.
მერიის იურიდიული სამსახური-სერგო ბირკაძე
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე,
კომისიის წევრები- ლევან დავითაშვილი, თამარ ჩახვაშვილი,ნინო ვარდოსანიძე,ალექსანდრე ხუჯაძე,მიხეილ კაკაურიძე,საბა ბუაძე.
ქონების მართვის და საფიონანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე
დღის წესრიგი:
1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ. საკრებ.№12-032526873-03 25/09/2025წ
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე.საკრებ.№12-03252/0101-03 7/10/2025წ
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ.საკრებ.№12-03252/0109-03 29/09/2025წ
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.
(№11-01252812996 საკრ.№15-03528133-03 08/10/2025)
დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
მომხსენებელი: ვალერი ჭიღლაძე.
ვალერი ჭიღლაძემ კომისიის წევერებს წარუდგინა კაბა აბულაძის კანდიდატურა მერის მოადგილის თანამდებობაზე. მან დაწვრილებით ისაუბრა მისი სამუშაო გამოცდილებისა და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის შესახებ. აღინიშნა, კახა აბულაძის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ-ებში ხელმძღვანელ პოზიციებში მუშაობის შესახებ. ხაზი გაესვა საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოში ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობას.
მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის კანდიდატურის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.
შეკითხვების ამოწურვის შემდეგ, საკითხი დადგა კენჭისყრაზე.
მომხრე-7
გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.
მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე.
მომხსენებელი - სერგო ბირკაძე
სერგო ბირკაძის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროსაგან გადმოეცა დელეგირება განათლების, მეცნიერებისა და ახალაგაზრდობის სამინისტროს

სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილის რეაბილიტაციის, მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსებისათვის. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებაში ან/და ეზოში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ინვენტარით აღჭურვა.
დასამტკიცებლად წარმოდგენილია თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე ხელშეკრულება.
მომხრე-7
გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტროს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც სამინისტრი 1 წლის ვადით გადასცემს მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებას თბილისის მუნიციპალიტეტს.
თბილისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფას.
მომხრე-7
გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

შესათანხმებლად წარმოდგენილია გლდანისა და ისნის რაიონული გამგეობები მოთხოვნა წლიური ასიგნებების ცვლილებაზე შემდეგ პროგრამებში:
იზრდება:
„სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები გლდანის რაიონში“ (პროგ/კოდი 06 02 18 07) -65 000 ლარით.
„სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ისნის რაიონში“ (პროგ/კოდი 06 02 18 13) - 80 000 ლარით.
გლდაინის გამგეობა წერილობით აღნიშნავს, რომ ყოველდღიურად იზრდება რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი და შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების მომართვიანობა მედიკამენტების, სამედიცინო მომსახურების და ერთჯერადი დახმარებების მიღების თაობაზე.ხოლო ისნის რაიონის გამგეობა აღნიშნავს, რომ სოციალური პროექტების განყოფილებაში შემოსული განცხადებების ჭარბმა რაოდენობამ, ვითარების შესწავლა/ანალიზის საფუძველზე, წლის ბოლომდე დაგეგმილი პროექტების განსახორციელებლად, რომელიც მოიცავს სამედიცინო მომსახურებას, მედიკამენტებით მკურნალობის დაფინანსებას, მიზნობრივ მატერიალურ დახმარებას, სამშენებლო მასალით უზრუნველყოფას, ზამთრის სეზონისთვის მყარი საწვავით (შეშით) უზრუნველყოფას, გამიწვია დამატებითი თანხების გამოყოფის საჭიროება.
თანხების გადმოტანა ხდება „დანგრეულის სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები გლდანის რაიონში“ (პროგ/კოდი 06 02 16 07) და „„დანგრეულის სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში“ (პროგ/კოდი 06 02 16 13) პროგრამებიდან. აღნიშნულ პროგრამებში თავისუფალი რესურსის წარმოშობა განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით (უსახლკარო ოჯახებისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საცხოვრებელი ფართის გადაცემა, ავარიული შენობის რეაბილიტაცია).
მომხრე-7
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანისა და ისნის რაიონული გამგეოებები ითხოვენ

მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ლევან არველაძე**